ოქმი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 24 იანვარს.

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე, დამთავრდა 12:50 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ე. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - მ. ფირცხალავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხისათვის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-1 ქუჩის III შესახვევის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხისათვის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 23 იანვარს შემოსულია განცახება (სარეგისტრაციო : 19/41250234-41) ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე რის საფუძველზეც 2025 წლის 23 იანვარს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები შეხვდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხიში მცხოვრებლებს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, დააფიქსირეს თავიანთი აზრი ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით, მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი გახომელას მე-10 ქუჩის I ჩიხისათვის გადაერქვას სახელი და ეწოდოს არქიმანდრიტი მამა სოგრატი ჭულუხიძის სახელი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს. განკარგულება გადაიგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-1 ქუჩის III შესახვევის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 23 იანვარს შემოსულია განცახება (სარეგისტრაციო: 19/41250231-41) ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას I ქუჩის III შესახვევის სახელის გადარქმევის თაობაზე რის საფუძველზეც 2025 წლის 23 იანვარს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები შეხვდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას მე-1 ქუჩის, III შესახვევის მცხოვრებლებს. მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, დააფიქსირეს თავიანთი აზრი ქუჩის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით, მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელი გახომელას მე-1 ქუჩის III შესახვევს გადაერქვეს სახელი და ეწოდოს წმინდა ალექსი (შუშანიას) სახელი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს. განკარგულება გადაიგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია